2. კონკურსი „მივმართავ თანატოლებს“

კონკურსის ფარგლებში შერჩეული მოსწავლეები მოწვეული იქნებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ,სადაც დაევალებათ, წინასწარ მიცემული საკვანძო სიტყვების გამოყენებით, ადგილზე მოამზადონ ერთწუთიანი მიმართვა თანატოლებისადმი. ღონისძიებას დაესწრებიან ანტინარკოტიკულ კამპანიაში ჩართული სამინისტროს წარმომადგენლები. ჟიური შეარჩევს საუკეთესო ათეულს და მათ შორის სამ საპრიზო ადგილზე გასულ მოსწავლეს. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.
აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები შეირჩევიან ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად.

- კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საჯარო და კერძო სკოლის VII-XII კლასის მოსწავლეებს;
- I ეტაპი (სასკოლო ტური) - მოსწავლეებმა სკოლაში საჯაროდ უნდა წარმოადგინონ ანტინარკოტიკულ თემაზე შექმნილი ესე, რომლის მოცულობაც უნდა მერყეობდეს 100-დან 250 სიტყვის ფარგლებში.

  თითოეული სკოლა რესურსცენტრში წარადგენს არაუმეტეს 2 ესეს. ნაშრომების შერჩევა უნდა მოხდეს სკოლაში შექმნილი კომისიის მიერ. კომისია უნდა დაკომპლექტდეს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების და მოსწავლეების წარმომადგენლებისგან; კომისიამ შეფასებისას უპირატესობა უნდა მიანიჭოს მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ აზრის ორიგინალურად და ლაკონურად გადმოცემის და ორატორული უნარები. რესურცენტრში წარმოდგენილ ნამუშევარს აუცილებელია მიეთითოს ინფორმაცია ავტორის შესახებ: სახელი გვარი, სკოლის დასახელება და კლასი. სკოლის მიერ რესურსცენტრში წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მისი ავტორის საჯარო გამოსვლის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ბმული (გამარჯვებული ესეების ავტორების საჯარო გამოსვლის ამსახველი ვიდეოჩანაწერი წინასწარ უნდა აიტვირთოს ინტერნეტსივრცეში).
- II ეტაპი (რაიონული ტური) - რესურსცენტრი შეარჩევს ერთ საუკეთესო ესეს, რომელსაც, ავროტის გამოსვლის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ბმულის მითითებით, წარადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; ნამუშევრების შერჩევა უნდა უზრუნველყოს რესურსცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებულმა კომისიამ;
- III - ეტაპი -საქართველოს განათლებისა და მეცნიერეის მინისტრის მიერ შექმნილი კომისია რესურსცენტრებიდან მოწოდებული ნამუშევრებიდან შეარჩევს არაუმეტეს 30 საუკეთესო ნაშრომისა, რომელთა ავტორები მონაწილეობას მიიღებენ დასკვნით <u>დასწრებულ</u> ტურში: რომელიც გაიმართება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-მასწავლეებლთა პროფესიული განვითარების ცენტრში. მოსწავლეებს ადგილზე მიეცემათ რამდენიმე საკვანძო სიტყვა, რომელთა

გამოყენებითაც დაევალებათ ერთწუთიანი მიმართვის მომზადება. საჯარო მიმართვის შედეგად კომისია ადგილზე გამოავლენს I, II და III ადგილზე გასულ მოსწავლეებს;

- I, II და III ადგილზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით შესაბამისად 375, 250, 125 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ 27 მოსწავლეს გადაეცემა სერტიფიკატები და წიგნის მაღაზიის ვაუჩერი.

<u>შეფასების რეკომენდირებული კრიტერიუმები:</u>

ნახატის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იდეის ორიგინალურობას, შესრულების ტექნიკას, იდეის ლაკონურად გადმოცემის უნარს. ესეს შეფასებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ავტორის თხრობის უნარს, აზრის ორიგინალურად და ლაკონურად გადმოცემის და ორატორულ უნარებს;

<u>საკონკურსო მასალების წარმოდგენის ფორმა:</u>

სკოლებიდან რესურსცენტრებში და რესურსცენტრებიდან სამინისტროში გამარჯვებული ნამუშევრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ავტორის სახელი, გვარი, სკოლა, კლასი, რაიონი/ქალაქი) უნდა მოხდეს საქმისწარმოების ელექტრონული ბრუნვის სისტემის (eflow) საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა არ არის ჩართული აღნიშნულ სისტემაში ოფიციალური წერილი და საკონკურსო მასალები რესურსცენტრს მიეწოდება მატერიალური სახით. რაც შეეხება უშუალოდ საკონკურსო მასალას, ნახატები წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით, ხოლო ესეების ავტორების საჯარო გამოსვლის გასაცნობად საკმარისია ბმულის მითითება.